N 130 25/06/2020

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს "
სხდომის ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი
23.06.2020 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის წევრები: ზაალ სანაძე, კახა ბოლქვაძე, რეზო კვაჭაძე, გიორგი გვარჯალაძე, ვენე კვირკველია, გიორგი ჩახვაძე, კახა თედორაძე, რევაზ კვერენჩხილაძე, ვლადიმერ ნანაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ბესიკ კუპრაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ბესიკ კუპრაძე/

3.სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 10 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიამ,** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება (ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N126-ში მდებარე, ყოფილი სასტუმრო შენობის მეორე სართულის N104 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.104); N105 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.105); N106 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.106); N107 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.107); N108 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.108); N109 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.109); N113 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.113); N114 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.114); N115 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.115)) ამოღებულ იქნეს როგორც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმიდან, ვინაიდან იგეგმება აღნიშნული ქონების ა(ა)იპ „ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს წარუდგენს დასამტკიცებლად მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიამ,** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა მოქალაქეებმა: ლია კუპრაძემ (პ/ნ 26001028145) და ნანა ურუშაძე-ძიმისტარიშვილმა (პ/ნ 61001021917), რომლებმაც ითხოვეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ სუფსის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული N2 -14.08 კვ.მ. და N5 -18.5 კვ.მ. ფართების ((ს/კ 27.15.52.294) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება განმცხადებლებს გადაეცეთ 5 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით. გადაწყვეტილების მიღება განპირობებულია, კორონა ვირუსის (კოვიდ-19) პანდემიის პროტოკოლით დადგენილი წესების განსახორციელებლად.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 10 , წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა

დეპუტატმა კახა თედორაძემ დასვა საკითხი ყვავილნარის სანაპირო ზოლის დასუფთავების შესახებ, ასევე ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის რეაბილიტაციის პროექტის თაობაზე.

დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ დასვა საკითხი იგეგმება თუ არა მიმდინარე წელს გაზიფიცირების პროექტის განხორციელება ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში.

დეპუტატმა კახა ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე კერძოდ ავერსის საავადმყოფოსთან აუცილებელია წყვეტილი ხაზის დახაზვა, რადგან ცენტრალური ავტობანის გახსნის შემდეგ ამ ტერიტორიაზე ვერ შევა ავტომობილები.

დეპუტატმა გიგი გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია გვარჯალაძის, ჭავჭავაძისა და საფო მგელაძის ქუჩების ამ ეტაპზე მოხრეშვა და შემდგომ მოასფალტება. ასევე მდინარაძის ქუჩის მცირე მონაკვეთზე ასფალტის საფარის დაგება.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"